# სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
# დადგენილება №01-05-04/88

ქ. თბილისი 30 ივნისი 2020 წ.

**საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირებული სახით დამტკიცების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“, საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ ივანე ჯაგოდნიშვილის მოხსენებითი ბარათის, ფაკულტეტის საბჭოს 2020 წლის 28 აპრილის სხდომის №48 ოქმისა და აკადემიური საბჭოს 2020 წლის 30 ივნისის №01-05-02/20 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. მოდიფიცირებული სახით დამტკიცდეს მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „საზოგადოებასთან ურთიერთობა“.

2. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6.

დადგენილებას თან ერთვის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმებიდან ამონაწერი (იხ. დანართი).

**აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე** **დ. გურგენიძე**

**აკადემიური საბჭოს მდივანი** **ი. კუტუბიძე**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 30 ივნისის №01-05-04/88 დადგენილების დანართი

ამონაწერი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს
2020 წლის 28 აპრილის სხდომის
ოქმი № 48

**სხდომას უძღვებოდა:** ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე პროფ. ივანე ჯაგოდნიშვილი.

სხდომას 129 (94 აკად. პერონალი და 35 სტუდენტი) წევრიდან, ესწრებოდა 88 წევრი, აქედან აკადემიური პერსონალი 78 და სტუდენტი 10.

**სხდომა ჩატარა ელექტრონული პლატფორმა Webex - ის საშუალებით**

**დღის წესრიგი:**

1. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის „საზოგადოებასთან ურთიერთობა“ მოდიფიცირების საკითხი.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოთქმულა და დამტკიცდა ერთხმად.

1. **მოისმინეს:**

ფაკულტეტის დეკანის, ივ. ჯაგოდნიშვილის მოხსენება მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის „საზოგადოებასთან ურთიერთობა“ მოდიფიცირების შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანების დანართი №2 დამტკიცებული კლასიფიკატორის მიხედვით, პროგრამაში მისანიჭებელი კვალიფიკაცია: „მაგისტრი საზოგადოებასთან ურთიერთობაში“ დაკორექტირდა შემდეგნაირად: “ საზოგადოებასთან ურთიერთობის მაგისტრი“.

**აზრი გამოთქვეს:** პროფესორმა ვანო ჭიაურელმა, პროფესორმა გიორგი ზირაქაშვილმა, ასოცირებულმა პროფესორმა თინათინ აფხაიძემ.

**დაადგინეს:**

ეთხოვოს აკადემიურ საბჭოს დამტკიცდეს მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „საზოგადოებასთან ურთიერთობა“, წარმოდგენილი სახით.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე: ივ. ჯაგოდნიშვილი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი: ნ. გიორგობიანი